



## ბიზნესის სკოლა (ESM)

### პროგრამის სახელწოდება

ბიზნესის ადმინისტრირება

### მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

### სწავლების მოცულობა კრედიტებით

120 ECTS

### სწავლების ენა

ქართული

### სამაგისტრო პროგრამის მიზანი

საშუალო და მაღალი რანგის მენეჯერები ის პროფესიონალები არიან, რომლებიც ბიზნესის გადაწყვეტილებებსა და შედეგებზე პასუხისმგებლობას იღებენ. მათთვის მნიშვნელოვანია, როგორც სფეროს ღრმა ცოდნა, ასევე ადამიანური უნარ-ჩვევები, კონტაქტები, კონტექსტის ცოდნა და შეფასება, საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღება, გუნდისა და პროექტის მართვა და პრაქტიკაში არსებული ამოცანების ამოხსნის შემოქმედებითი უნარები.

ასეთივე თანრიგის ამოცანა აქვთ საშუალო რგოლის ბიზნეს-ანალიტიკოსებს და კონსულტანტებს. ისინი გავლენას ახდენენ, ხელს უწყობენ და ამზადებენ მენეჯერულ და ბიზნეს-გადაწყვეტილებებს.

თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია საშუალო და მაღალი რანგის მენეჯერებს და ანალიტიკოსებს/კონსულტანტებს შეუქმნას გარემო, სადაც ისინი შეძლებენ როგორც გაიღრმავონ ბიზნეს-გადაწყვეტილებების და ბიზნესის მართვის ინსტრუმენტების თეორიული ცოდნა, უკეთესი უნარები კონტექსტის შეფასებისათვის, ასევე უპასუხონ პრაქტიკაში დასმულ ამოცანებსა და გამოწვევებს.

პროგრამა ორიენტირებულია საშუალო და მაღალი რანგის პრაქტიკოს მენეჯერებსა და ბიზნეს-ანალიტიკოსებზე/კონსულტანტებზე.

## **შესაძლო დასაქმების სფეროები**

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები გააგრძელებენ მუშაობას უფრო მაღალი რანგის მენეჯერებად და ბიზნეს-ანალიტიკოსებად/კონსულტანტებად უკეთესი კარიერული წინსვლის პერსპექტივით. ისინი შეძლებენ პროექტების მართვასა და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებას. გარდა ამისა, კურსდამთავრებულები შეძლებენ ბიზნესის წამოწყებას და მართვას როგორც პარტნიორები.

## **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

პროგრამაზე დაიშვებიან მსურველები ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და გასაუბრების შედეგების შესაბამისად. აუცილებელი მოთხოვნაა სულ მცირე ორწლიანი გამოცდილება საშუალო ან მაღალი რანგის მენეჯერის ან/და ბიზნეს-ანალიტიკოსის/კონსულტანტის პოზიციაზე.

## **სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები (კომპეტენციები)**

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

### **ზოგადი კომპეტენციები**

- აქვს საკუთარი თავის მართვის, ემოციებისა და ქმედებების მართვის უნარი
- პრობლემების იდენტიფიცირების და ამოცანების დასმის უნარი
- პრობლემებისა და ამოცანების პრიორიტიზირების უნარი
- აქვს საკუთარი დროის მართვის უნარი
- იცის ლიდერობის პიროვნული საფუძვლები და საკომუნიკაციო ინსტრუმენტები
- ჯგუფში მუშაობისა და გუნდის მართვის უნარი
- კარგად ფლობს მათემატიკური და ეკონომიკური ანალიზის მეთოდებსა და ტექნიკებს

### **დარგობრივი კომპეტენციები**

- აქვს ბიზნესის ძირითადი ფუნქციონალური სფეროების ღრმა და სისტემური ცოდნა
- შეუძლია საბაზრო პროცესებზე დაკვირვება, ახსნა, ანალიზი, პროგნოზი
- ფლობს სათანადო ტექნიკებსა და ინფორმაციას იმისათვის, რომ შეძლოს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტა და საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომა

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამით მიღწეული შედეგები შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში, მეორე საფეხურისთვის განსაზღვრულ ექვს კრიტერიუმს.

### **ცოდნა და გაცნობიერება**

- კურსდამთავრებულს ეცოდინება ბიზნეს-გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო თეორიული და პრაქტიკული მეთოდები
- კურსდამთავრებულს ეცოდინება ფინანსური ინფორმაციის მომზადების წესები, მეთოდები და მიდგომები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით
- კურსდამთავრებულს სრულფასოვნად ეცოდინება ბიზნესში წარმოქმნილი დანახარჯების სტრუქტურები
- კურსდამთავრებულს სიღრმისეულად ექნება გაცნობიერებული სხვადასხვა ტიპის ბიზნესის ბიუჯეტირების პროცესი
- კურსდამთავრებულს ეცოდინება მარკეტინგული სტრატეგიების როლი ბიზნესის მართვის პროცესში და მათი დაგეგმვის მეთოდები
- კურსდამთავრებულს სიღრმისეულად ეცოდინება ტაქტიკური და სტრატეგიული მენეჯმენტის საკითხები
- კურსდამთავრებულს გაცნობიერებული ექნება ბიზნეს-გარიგებების კომპლექსურობა, ტიპოლოგია და ბუნება
- კურსდამთავრებულს გაცნობიერებული ექნება ინვესტიციების არსი, ტიპოლოგია და ბუნება
- კურსდამთავრებულს სიღრმისეულად ეცოდინება ადამიანური რესურსების მართვის საკითხები
- კურსდამთავრებულს სიღრმისეულად ეცოდინება სერვისისა და წარმოების ოპერაციების დიზაინის, პროცესების დაგეგმვის, კონტროლის და გაუმჯობესების ტექნიკები
- კურსდამთავრებულს სიღრმისეულად ეცოდინება კვლევის სხვადასხვა მეთოდი

### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

- კურსდამთავრებულს შეეძლება საოპერაციო და საფინანსო ბიუჯეტის შედგენა და ანალიზი
- კურსდამთავრებულს შეეძლება კომპანიის ფინანსური ანალიზის სრულყოფილად ჩატარება

- კურსდამთავრებულს შეეძლება საინვესტიციო პროექტის სიღრმისეულად შეფასება
- კურსდამთავრებულს შეეძლება ბიზნეს-გარიგებების დაგეგმვა და წარმართვა
- კურსდამთავრებულს შეეძლება მარკეტინგული სტრატეგიის დაგეგმვა, საკუთარი და კონკურენტების სტრატეგიების შეფასება და ამ პროცესის მართვა
- კურსდამთავრებულს შეეძლება მარკეტინგული სტრატეგიის აგება მომხმარებლის ქცევის ფაქტორების გათვალისწინებით
- კურსდამთავრებულს შეეძლება ბიზნესის სფეროსათვის დამახასიათებელი სამართლებრივი პრობლემების პრევენცია და მარეგულირებელ საკითხებზე ადეკვატური რეაგირება
- კურსდამთავრებულს შეეძლება საინფორმაციო სისტემების ორგანიზაციაში ინტეგრაცია და მართვა
- კურსდამთავრებულს შეეძლება პროექტის მენეჯმენტის სრული ციკლის განხორციელება/გამდოლა
- კურსდამთავრებულს შეეძლება რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და მართვა
- კურსდამთავრებულს შეეძლება კვლევის ჩატარება
- კურსდამთავრებულს შეეძლება ხარჯთაღრიცხვაზე დაყრდნობით სწორი ტაქტიკური თუ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება
- კურსდამთავრებულს შეეძლება საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღება
- კურსდამთავრებულს შეეძლება მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღება ადამიანურ რესურსთან მიმართებაში

## დასკვნის უნარი

- კურსდამთავრებულს შეეძლება სტატისტიკური მოდელების შექმნა და არსებული პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტა მათი მეშვეობით
- კურსდამთავრებულს შეეძლება ბიზნესის ამოცანების Excel-ში მოდელირება
- კურსდამთავრებულს შეეძლება საბაზრო პროცესების დინამიკის ახსნა და მათი გრაფიკული ანალიზი
- კურსდამთავრებულს შეეძლება ბაზარზე ფასებისა და სხვა მნიშვნელოვანი ინდიკატორების ცვლილებებზე დაკვირვება, მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა და ანალიზი
- კურსდამთავრებულს შეეძლება სტანდარტული ტიპის პროგრამული პაკეტების გამოყენებით მათემატიკური და ეკონომიკური ანალიზი
- კურსდამთავრებულს შეეძლება საინვესტიციო რისკების შეფასება და დასკვნების გამოტანა

- კურსდამთავრებულს შეეძლება ბიზნეს-კომუნიკაციის შეფასება და დასკვნების გამოტანა
- კურსდამთავრებულს შეეძლება ხარჯთაღრიცხვის სხვადასხვა სისტემების ანალიზი
- კურსდამთავრებულს შეეძლება ფინანსური სტრატეგიის წარმატებულობის შეფასება
- კურსდამთავრებულს შეეძლება ფინანსური რისკების იდენტიფიცირება, შეფასება, მართვა, დასკვნების გამოტანა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

### კომუნიკაციის უნარი

- კურსდამთავრებულს შეეძლება გუნდში მუშაობა და მართვა
- კურსდამთავრებულს შეეძლება ბიზნეს-გარიგებებზე შესაბამისი კომუნიკაციის წარმართვა
- კურსდამთავრებულს შეეძლება საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე კომუნიკაციის წარმართვა
- კურსდამთავრებულს შეეძლება კონფლიქტური სიტუაციისა და მოლაპარაკებების წარმართვა
- კურსდამთავრებულს შეეძლება ინტერპერსონალური ურთიერთობების მართვა
- კურსდამთავრებულს შეეძლება ინვესტორებთან კომუნიკაცია
- კურსდამთავრებულს შეეძლება ეფექტური პრეზენტაცია და სიტყვით გამოსვლისას აუდიტორიის მართვა

### სწავლის უნარი

- კურსდამთავრებულს შეეძლება სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლება
- კურსდამთავრებულს შეეძლება შესაბამისი რესურსების და წყაროების მოძიება

### ღირებულებები

- კურსდამთავრებული სიღრმისეულად გააცნობიერებს თავისუფალი ბაზრის იდეებს
- კურსდამთავრებული გააცნობიერებს საკუთრების უფლების პრიმატის პრინციპს
- კურსდამთავრებული სიღრმისეულად გააცნობიერებს ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებს

- კურსდამთავრებულს სიღრმისეულად ექნება გაცნობიერებული განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასების და პატივისცემის მნიშვნელობა
- კურსდამთავრებულს ექნება პროფესიული პასუხისმგებლობა

კურსდამთავრებული სიღრმისეულად გააცნობიერებს ბიზეს- და კორპორატიული ეთიკის პრინციპებს.

### სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდი

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, როგორც წესი, გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური, ზეპირსიტყვიერი მეთოდი; წიგნზე და დოკუმენტებზე მუშაობის მეთოდი. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მოსაზრების ჩამოყალიბება; დემონსტრირების მეთოდი; პრაქტიკული მეთოდები; დისკუსია/დებატები/პრეზენტაციები; ჯგუფური მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; თანამშრომლობითი სწავლება; სამაგალითო შემთხვევის ანალიზი; გონებრივი იერიში; როლური და სიტუაციური თამაშები დემონსტრირების მეთოდი; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

მეთოდები გამოიყენება ლექციის, სემინარის, თუ პრაქტიკული მეცადინეობების დროს.

ლექტორი, აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, უფლებამოსილია სასწავლო პროცესში დააკონკრეტოს და გამოიყენოს ისეთი მეთოდები, რომელიც არის პროგრამაში, ან არ არის მითითებული ან/და, სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე, არ გამოიყენოს პროგრამაში მითითებული სწავლისა და სწავლების რომელიმე მეთოდი.

### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
2. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან გადალახა შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვრები და მიიღო ერთ-ერთი დადებითი შეფასება.
3. არსებობს ხუთი სახის დადებითი შეფასება:
  - (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%;

- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81%-90%;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71%-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61%-70%;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51%-60%.

4. არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41%-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით და მატებით გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

### სასწავლო გეგმა (კურიკულუმი)

მოდული I	21 ECTS
მოდული II	29 ECTS
მოდული III	30 ECTS
მოდული IV	25 ECTS
<u>სადიპლომო პროექტი</u>	<u>15 ECTS</u>
<b>კრედიტები ხარისხისთვის</b>	<b>120 ECTS</b>

დეტალური სასწავლო გეგმა იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.